სახალხო გაზეთი

№ 1151 შაბათი, 29 მარტი 1914 წ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ზის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედონი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის „სახალხო გაზეთზე"
(სურათებიანი დამატებით)
წლიურ ხელის მომწერთ პრემიად მიეცემათ:
1) ქართველი მწერლები, 2) უცხოეთის მწერლები, 3) სამეცნიერო კრებული.
წლიური ფასი 8 მან. 50 კაპ.
მისამართის გამოსაცვლელი 40 კ., პრემიების გასაგზავნი 60 კ.
ნაწილ-ნაწილ ფულის გადახდა შეიძლება შემდეგ ვადებზე: პირველ აპრილამდე 5 მან., პირველ თიბათვემდე 2 მან. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.
მისამართი: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" П. Ящ. 190

უკვე დაიბეჭდა და დაურიგდა ყველა წიგნის მაღაზიას გასასყიდად
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებათა
მეხუთე ტომი
ფასი ერთი მანეთი.

გიორგი თომას ძე ბილანაშვილი, კატო გიორგის ასული თევდორაშვილი, ვასილი ი. თევდორაშვილი, კოტე, ლადო, ლევანი, სოფიო, შაქრო, ვერა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 26 მარტს ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ, უდროვოდ გარდაიცვალა პირველისა ცოლი, მეორისა დედა, მესამისა სიდედრი, უკანასკნელის დედამთილი დანარჩენებისა დედა

ნინო იაკობის ასულის ბილანაშვილისა.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, დაკრძალვა მოხდება 31-ს მარტსა. გარეთ კახეთში ტფილისის მაზრაში სოფელ პატარძეულის მღვთის-მშობლის ეკლესიის გალავანში. 207

კვირას, 30 მარტს,
მეფის მოადგილის სასახლეში,
საქართველოს ეგზარხოსი, ყოვლად უსამღვდელოესი
ალექსი
წაიკითხავს სამღვთისმეტყველო
ლექციას.
შემოსავალი გადაიდება ქ. ტფილისის ღარიბთათვის.
ბილეთები იყიდება ეგზარხოსის კანცელარიაში, დილისის 9—2 საათამდე, ხოლო ლექციის დღეს სასახლის შესავალ კართანაც.
ლექცია საღამოს 8 საათზე დაიწყება.
1135

ვაგზლის სამკურნალოში
(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)
მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.
ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.
მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.
პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.
ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 12—1 საათამდე.
ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.
სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 11—12 ს.
ვაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.
ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.
რჩევის საფასური—50 კაპ.
წამლობა „914".
1023

სანატორიუმი „რუსული დავოსი", აბასთუმანში.
გულსუსტებისა, სისხლ-ნაკლებთა, დაქანცულთა და ფილტვების სნეულებათ ახლად დაავადებულთათვის. საუცხოვო განმარტოვებული მზიანი, უქარო ადგილი ფიჭვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის კაბინეტი. ყველა თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტაზე დამყარებული, სპეციფიური წამლობა ტუბერკულინით, ხელოვნური პნევმოტორაქსი და ტყირპის წამლობა რენტგენის სხივებით. საკუთარი მერძეობის ფერმა. სრულის პანსიონით სამკურნალო ხარჯ-მთვლით და სხვა თვეში 150—250 მ. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიჰმართეთ სანატორიუმის დირექტორს ექიმს ზ. მიზრაბიანცს, 1 მაისამდე ქ. ტფილისში, ბებუთოვის ქ., № 23. 1 მაისის შემდეგ—აბასთუმანში. ზღვისზედაპირიდან 1278 მეტ. ტფ. გუბ.
ტელეფონი № 7—92.
1087

ტფილისის კერძო სამკურნალო
ქვენიძის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი გ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფიდოროვი ი. გ.** ყოველ დღე, 11—12. **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირაძოვი ს. ა.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერაბიშვილი-ფირაძოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. მ.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი რ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფიდოროვი გ. ხ.** ყოველ დღე 11—2. **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ნერვიულ სნეულებ. და ჭკუ[illegible]	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოვი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროსკოპიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606"-და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. 1070

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა
ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, კორიანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.
1094

გორის პირველი კერძო
სამკურნალო
ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.
კუთხე სობოროსა და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.
გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:
კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.
წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.
მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.
ბრიუკნერი მ. გ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.
ვინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.
რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.
ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროსკოპიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა წამლობა „606", „914".
1088

საზურთალოზე
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

ექიმი პავლე არდაზიანი
შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დილის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის
სამკურნალო
ქალ. ბაქოში
მუდმივ საწოლებით:
სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.
ფასი მორიგებით.
ადრესი: Баку, магазинная, № 50.
1084

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ. ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საცურაო-განყოფ. პირდაპირ. 1080

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

ნაძალადევში
ექიმი ი. რ. ხურგულაძე
ხუდადოვის ქ., 4.
იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 ს., საღამოთი 4½—7 საათ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს. 141

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი 1011

ქ. გორში
ექიმი (დოქტორანტი).
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1050

ექიმი ვ. ნ. მაზაკიანი
გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38.
შინაგანი ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობანი. ელექტროთერაპია იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388.
1053

ექიმი გ. მუსხელიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი
კბილისა
ნინო რცხილაძე.
გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ტფილისი, 29 მარტი

მასწავლებელთა კავშირი.

გუშინდელ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა წერილი ბ. გარიყულისა, რომელიც, სხვათა შორის, სახალხო მასწავლებელთა კავშირის საკითხს ეხება. სოფლის მასწავლებელს ჩვენს ცხოვრებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. იქაც კი, სადაც, სხვადასხვანაირ საზოგადოებრივ ხასიათის დაწესებულებათა წყალობით, ჰხდება ინტელიგენტურ ძალთა დანაწილება, სადაც მოსახერხებელია მოიზადებული ხალხის მუდმივი დაბინადრება სოფელში,—ასეთს ადგილებშიაც კი სოფლის მასწავლებელს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. რა თქმა უნდა, როლი სოფლის მასწავლებლისა იზრდება იქ, სადაც ასეთი დაწესებულებანი არ არსებობს. ჩვენში სოფლის მასწავლებელი ძალიან ხშირად სოფლის ერთად-ერთი ინტელიგენტი ადამიანია. მან უნდა გაუშუქოს ცხოვრების გზა გლეხკაცებს, მან უნდა განუვითაროს მათ გონება, შეიტანოს ხალხში თვითცნობიერება და სხვა. იქ, სადაც მასწავლებელს ეს თავისი მნიშვნელობა შეგნებული აქვს, მართლაც, ბევრი სარგებლობაც მოაქვს. მაგრამ, საუბედუროდ, ყველგან ვერა ვხვდებით ასეთს შეგნებულ ადამიანებს.

ასეთია საზოგადო მნიშვნელობა მასწავლებლისა, როგორც საზოგადოდ სოფელში მცხოვრებ ინტელიგენტი ადამიანისა. მაგრამ ამ ჟამად ჩვენ არ გვინდა ამ საგანზე გავაგრძელოთ ბაასი. ვილაპარაკოთ სოფლის მასწავლებელზე, როგორც განსაზღვრული პროფესიის ადამიანზე. ამ მხრითაც ძალიან ბევრი რამ აკლია სოფლის მასწავლებელს. სამს გარემოებაზე გვინდა მივუთითოთ: პირველი გარემოება არის დაცვა იმ უფლებებისა მაინც, რომელიც არსებული კანონები ანიჭებს მასწავლებელს. ძალიან ხშირად მასწავლებელი წინ უსწრობს სასკოლო ადმინისტრაციას და წინდაწინვე, ავანსად, მის გულის მოსაგებად არღვევს წესებს. სწორედ ასე ემართება ბევრგან 1881 წლის სამოსწავლო გეგმას. ასევე ემართება გოგებაშვილის სახელმძღვანელოების განდევნას სკოლებიდან და სხვა. ამხანაგურ რჩევასა და ზედ-გავლენას მოკლებული, თავის ანაბარას მიგდებული მასწავლებელი ძალიან ხშირად უფროსის ყურ-მოჭრილ მსახურადა ჰხდება და მთელი თავისი მოღვაწეობის აზრს მხოლოდ იმაში ჰხედავს, რომ უფროსი ასიამოვნოს და ამით დაიმსახუროს მისი წყალობა. ჩვენ კი ძალიან კარგად ვიცით, რაც ესიამოვნებათ უფროსებს. იგივე 1881 წლის სამოსწავლო გეგმა რომ ავიღოთ, მასწავლებელს შეუძლიან იგი ქართული ენის სასარგებლოდაც წარმართოს და საზარალოდაც. ეს რაოდენადმე თვით მასწავლებლის პირადს გამჭრიახობასა და უნარზე ჰკიდია. აი, სწორედ ამნაირ შემთხვევებში იჩენენ მასწავლებლები სულის სიმდაბლეს და ჰღალატობენ თავიანთ პედაგოგიურს სინიდისს. ცხადია, რომ ამისთანა პირობებში შეგნებულ მასწავლებელთა ზნეობრივ ზედ-გავლენას დიდი მნიშვნელობა ექნება.

ავიღოთ მეორე გარემოება: მასწავლებელთა თვით-განვითარება. ბევრი მტკიცება არ დაგვჭირდება იმისა, რომ ძალიან ხშირად მასწავლებელი განვითარების დაბალ საფეხურზე სდგას და სრულიად არ შეეფერება იმ საპატიო ადგილს, რომელიც უჭერია. ამას თვით მასწავლებლებიც სჩივიან. მაშამადამე, საჭიროა ზომების მიღება, რომ მასწავლებელს თვითგანვითარება გაუადვილდეს, იგი კვალ და კვალ მისდევდეს როგორც საზოგადო, ისე სპეციალურ პედაგოგიურ მეცნიერებას, რათა მეტი აზრიანობა და შინაარსი შეიტანოს თავის დიდმნიშვნელოვან საქმეში.

მესამე გარემოებაა ორგანიზაცია ურთიერთი ნივთიერი დახმარებისა. ისიც ეჭვს გარეშე უნდა იყოს ყველასათვის, რომ ჩვენებური სოფლის მასწავლებელი ნივთიერად ძალიან ხელმოკლეა. მაშასადამე, საჭიროა ინიციატივის გამოჩენა და ორგანიზაცია ურთიერთი დახმარებისა.

ყველა ეს საკითხი იმდენად დიდმნიშვნელოვანია, რომ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ერთი და ორი მასწავლებლის ძალა ამ საქმეთა მოსაგვარებლად სრულიად არა კმარა. ამისთვის საჭიროა შეკავშირებული, ერთსულოვანი ძალა ყველა მასწავლებლებისა, რომელნიც ეწევიან მძიმე, მაგრამ საპატიო შრომას. მასწავლებელთა კავშირი პირველი და საუკეთესო საშუალება იქნებოდა ზემოაღნიშნულ საქმეთა განსახორციელებლად. საჭიროა თვით მასწავლებლებმაც იფიქრონ ამის თაობაზე და თავიანთი აზრები ერთმანეთს გაუზიარონ.

ქართული პრესა

„ბათუმის გაზეთი" განაგრძობს კამათს **„აზრთან"** ტერიტორიის და ავტონომიის შესახებ. აღნიშნავს იმას, რომ არსად ავტონომიის დაწესება არ ნიშნავს სხვა ერების დევნას და ან უცხო ერის წარმომადგენლებისათვის საკუთრების შეძენის აკრძალვას.

„ჩვენში კი ტერიტორიალურ-პოლიტიკური მთლიანობა მაინც და მაინც სომხების აყრა და უცხოელების განდევნა, მაინც და მაინც აგრარულ კითხვის გადაუწყვეტლობა, ალებ-მიცემობის მოსპობა და ერთა ჰამიობაა, მაინც და მაინც მუშა ხალხის კლასიური ცნობიერების დაბნელება და დემოკრატიის მოძრაობის შესუსტებაა! მაშინ, როდესაც ყველგან მრავალ ეროვან და მრავალ ფეროვან სახელმწიფოებში ავტონომია საუკეთესო უზრუნველმყოფელია მუშათა მოძრაობის თავისუფალი განვითარების და საუკეთესო კაპიტალის საერთაშორისო გრძნო-

ბების გამოჩენის. რათ უნდა იჩხრიალოს სხვაგან ბამბამაც კი, და ჩვენში კაკალმაც არა?—ჩვენებურმა მებრძოლმა ჯგუფებმა ავტონომიის საკითხს დააჩრდილვიეს სოციალ-ეკონომიური კითხვები. ავტონომიზმი სოციალურ მრწამსად გამოაცხადეს. ნამდვილად იგი არასოდეს არ ყოფილა, არ არის და არც იქნება არსებითად დამახასიათებელი კლასთა და პარტიათა დროშის. შეიძლება რეაქციონერი და კოლექტივისტი ორივე ავტონომისტი ან ფედერალისტი იყოს, მაგრამ მითი **სოციალური** აზროვნების სხვა და სხვაობა ამით ოდნავადაც არ დაიჩრდილება გაგებული ადამიანის თვალში. ამას აქნამდი ვერ მიმხვდარა „აზრის“ მეთაური, რომლის კალამი სულ ხშირად პოლიტიკური ავტონომიის აღიარების თუ არ აღიარების თანახმად ანაწილებს და ახასიათებს საზოგადოებრივ ჯგუფებს. ეს ნაციონალური ნიჰილიზმის ნიშანდობლივი თვისებაა, სამართლიანად უარყოფილი კოლექტივისტთა დიდი უმრავლესობის მიერ“. შემდეგ გაზეთი ახასიათებს „აზრის“ ექსტერიტორიალობას.

„მეორე გაცილებით უფრო დიდი მიზეზი „აზრის“ პოზიციის გაუგებრობისა არის ექსტერიტორიალიზმის გაპრინციპება და კულტურული ავტონომიის ყოვლის შემძლებლობა ეროვნულ ურთიერთობათა მოწესრიგების სფეროში. მაგრამ ექსტერიტორიალური ავტონომიის ასეთ ძალას ჩვენ არასად არ ვსცნობთ, მით უფრო მობინადრე ტერიტორიალურ ერთათვის. ქართველი ერი ტერიტორიალურია, მისთვის ბუნებრივია პოლიტიკურად ტერიტორიის მთლიანობის აღიარება“.

⁂

„ჩვენს ერში“ ახალგაზდა მუშა არჩევს „იმერეთის“ მეთაურის **ისარის** წერილებს მუშათა და კაპიტალისტების ინტერესების შეთანხმების შესახებ. ისარი სხვათა შორის ამბობდა, კაპიტალისტისთვის უფრო სახეიროა შეგნებული მუშაო. ამაზე **ახალგაზდა მუშა** უპასუხებს:

„ნათქვამიდან ის დასკვნა შეგვიძლიან გამოვიყვანოთ, რომ კაპიტალისტი მუდამ სდევნის და ებრძვის შეგნებულ მუშას და ეძებს შეუგნებელს, რადგანაც ეს უკანასკნელი უფრო გამოადგება მას, უფრო კარგად და თავისუფლად შეუძლიან მის ზურგზე იჯირითოს, ტყავი აძროს და საწველ ფურად გაჰპადოს.

ამას ყველა დაინახავს, ვინც ცოტათი მაინც ჩაუკვირდება თანამედროვე ცხოვრებას და ძლიერ მიკვირს, როგორ ვერ შეუგნია ბ-ნ „ისარს“ ეს ანბანური ჭეშმარიტება?

არა, ბატონო ისარო, თქვენ ტყუილად გიკისრიათ შუამდგომლობა კაპიტალისტებსა და მუშებს შორის. ჩვენ არავითარი „მაჰანკალი“ არ გვესაჭიროება და გულწრფელად გირჩევთ, შუამდგომლობას თავი დაანებოთ. ჩვენ უთქვენოთაც მოვაწესრიგებთ საქმეებს, თქვენი ვექილობა არა გვჭირია და საუკეთესო [illegible] იქნებოდა, თქვენგან ის, რომ ჩვენს დაცვაზე ხელს აღებდეთ...“

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამ რამდენიმსამე დღის წინედ ვწერდით, რომ აქამდის ჩვენი მუშაობა უფრო თეორეტიული იყო, ვცდილობდით ჩვენის მოძღვრების დედამცნებათა განმტკიცებას, და ეხლა საჭიროა, რომ გავაფართოვოთ და გავაღრმავოთ პრაქტიკული მუშაობა თანახმად ჩვენის პოლიტიკურ-სოციალურ მრწამსისა.. ჩვენი მკითხველი ადვილად მიგვიხვდებოდა, რის თქმაც გვინდოდა. ამას ვერ გვიგებდნენ მხოლოდ ისეთი ადამიანები, რომელნიც შემოკრებილან „ზაკ. რეჩის“ გარეშემო—ბ. სკალპელი და ძმანი მისნი.

ეს ჩვენ არ გვიკვირს სრულიად, მაგრამ გაგვაოცა კი ერთმა ადგილმა სკალპელის წერილისამ „ზაკ. რეჩის“ გუშინდელ ნომერში. ჩვენი ზემოხსენებული წერილის გამო ბ. სკალპელი ბრძანებს:

> „იგი მაჩვენებელია იმისა, რომ ჯერ მთლად არ გამქრალა გრძნობა ეროვნული სიამაყისა და სიყვარულისა ეროვნულ კულტურისადმი იქ, სადაც ყველაზე უფრო ნაკლებად მოსალოდნელი იყო“...

ძლიერ გაკადნიერებულა ბ. სკალპელი, როცა ჩვენ მოგვაგონებს ეროვნულს სიყვარულს და მოვალეობას! ან ეგებ „ზაკ. რეჩის“ მკითხველნი იმდენად გულუბრყვილონი ჰგონია, რომ ამისთანა ზღაპარს დაუჯერებენ?

სახელმწიფო სათათბირო

27 მარტის სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობს.

განსახილველია განცხადება, დაარსდეს განსაკუთრებული კომისია, რომელიც გამოიკვლევს ქარხნებსა და მაღაროებში მომხდარ უბედურებათა მიზეზს. უკამათოდ მიიღეს ხუთი კანონ-პროექტი.

როსტოვცევი მოახსენებს კანონპროექტს, რომლითაც საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ ხორბალს, ცერცვსა და მუხუდოს უნდა ბაჟი დაედოს ფუთზე 30 კაპ. სათათბირომ კანონ-პროექტი მიიღო კომისიის რედაქციით. გრაფი ბენიგსენი მოახსენებს შემთანხმებელი კომისიის დასკვნას პოლონეთის ქალაქების მმართველობის რეფორმის შესახებ. ამ კანონ-პროექტზე სათათბირო და საბჭო ვერ შესთანხმდნენ. სათათბირომ ეს კანონ-პროექტი მიიღო 151 ხმით წინააღმდეგ 84; 24 თავი შეიკავა.

დამთავრდა თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის კანონ-პროექტი. **როსტოვცევი** მოახსენებს კანონ-პროექტს, რომლითაც ბაჟი უნდა დაედოს საზღვარ-გარეთიდან ფინლიანდიაში შემოტანილ პურს.

მალინოვსკის მოჰყავს ფინლიანდიის სეიმის აზრი, რომ ეს ძალიან დააზარალებს და ეკონომიურად დააქვეითებს ფინლანდიის ხალხსაო.

ჩხეიძე ამტკიცებს, თუ რუსეთის პურს გერმანიისა სჯობნის ფინლანდიის ბაზარზე, ამის მიზეზი რუსეთის პურის უვარგისობაა და საქმის მოუწყობლობაა.

შემდეგი სხდომა ხვალ.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ ჩვენი გაზეთის ხვალინდელ **„სურათებიან დამატებაში“** მოთავსებულ[illegible] ზღვის პირას ლექსი ი. ევდოშვილისა, ლექსი ცქვიტისა, ლექსი ს. ფაშალიშვილისა წ.-კ. გ. საზოგადოების 35 წლის დაარსების თავზე,—ამ საზოგადოების დამაარსებელთა სურათები: ი. ჭავჭავაძისა, დ. ყიფიანისა, იაკ. გოგებაშვილისა, თულაშვილისა, ყაზბეგისა, ლოლობერიძისა. იუდა, ბოლოს—კარიკატურა.

◆ **ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი თ-დი ნიჟარაძე დეპეშით გვატყობინებს:** „ზაკ. რეჩ“-ის გუშინდელ ნომერში დიდი უსწორობა იყო მოთავსებული, რადგანაც ჩვენში საერობო დაწესებულებათა შემოღების თაობაზე განცხადება წარმოდგენილი იყო ერთხმად ყველა ქალაქების ხარჯის გამღებთა წარმომადგენლების მიერ, შავი ზღვის პირის წარმომადგენელ შჩერბინის გამოუკლებლად. ხარჯის გამღებთა წარმომადგენლების კერძო თათბირზე შემუშავებული მოხსენება საბჭოში წაიკითხა ტფილისის გუბერნიის თავ.-აზნ. წინამძღოლმა აფხაზმა და სიტყვა-სიტყვით არის შეტანილი სხდომის ჟურნალში“.

◆ კრებები კავკასიის მეფის მოადგილის საბჭოს შემადგენლობისა გუშინწინ დასრულდა. კრებებზე განიხილეს ამიერ კავკასიის საერობო თანხების ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ სამის წლისათვის (1915—1917 წ.) ხარჯთ-აღრიცხვა მიიღეს და წარედგინება სამინისტროს, შემდეგ კი მას სათათბირო განიხილავს. სხვათა შორის, კრებების დასასრულ თათბირში მონაწილე წოდებათა და ხარჯის გამღებ წარმომადგენლებმა წარადგინეს მოხსენება, რომელშიაც აღნიშნავენ, რომ უეჭველად საჭიროა საერობო დაწესებულებათა შემოღება. ამ განცხადებას მთავრობის წარმომადგენლები თანაგრძნობით შეჰხვდნენ.

◆ **მოსკოვში არსებულმა მეცნიერებისა, ხელოვნებისა და ლიტერატურის ქართულ საზოგადოებამ,** რომლის თავმჯდომარედაც არის კომპოზიტორი დ. არაყიშვილი, 22 მარტს სასინოდო სასწავლებლის დარბაზში საზოგადოების წევრთა საჯარო კრება მოახდინა. კრებაზე ფრიად შინაარსიანი მოხსენებანი წაიკითხეს: ვ. ჯაფარიძემ „მწერალი ბესიკი და მისი ლირიკა“, დ. არაყიშვილმა „ქართველების ხალხური სიმღერა და კულტურა“. მოხსენებას თან სდევდა ქართული სიმღერები, რომელიც მოსკოველ მომღერლებმა შეასრულეს. საღამოს აუარებელი ხალხი დაესწრო. საღამო ჩინებულად ჩაიარა.

◆ **ე. ნინოშვილის თხზულებანი.** მზადდება გამოსაცემად ეგ. ნინოშვილის თხზულებათა სრული კრებული. წიგნი გამოვა ორ ტომად და დართული ექნება ავტორის ბიოგრაფია, კრიტიკული წერილები და სხვადასხვა მოგონებანი. გამომცემლები მონდომებულნი არიან, რომ გამოცემა ყოვლის მხრით კარგი გამოვიდეს.

◆ როგორც ხმა დადის, ქართველ მემამულეთა შორის ტრიალებს აზრი, რომ **ნაწილი თვის მამულებისა გერმანელ კაპიტალისტებს მიჰყიდონ** და სამაგიეროდ მიიღონ მათგან საჭირო თანხა დარჩენილ მამულების შესამუშავებლად. ასეთს აზრს იმით ასაბუთებენ, რომ საერობო გადასახადის გასტუმრების შემდეგ აღარა გვრჩება რა მამულის შესამუშავებლად და არც ხაზინა და მიწათ-მოქმედების დეპარტამენტი გვაძლევს დახმარებასაო.

◆ **ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი,** რომელიც აგერ ხუთი თვეა ქარებით არის ავად, ამ ჟამად უკეთ გრძნობს თავს. თანამდებობის აღსრულებას [illegible] დაუბრუნდება.

◆ **კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო ბანკის** წევრობის მსურველი დღითი-დღე თვალსაჩინოდ იზრდება. ამ ჟამად უკვე შესდგა [illegible] ორ მილიონ მანეთამდე. ბანკის საორგანიზაციო კომიტეტმა დაადგინა, წინადადება მისცეს ქართულ დაწესებულებებს, რათა აქციებზე ხელი ახლოვე მოაწერონ, რადგანაც შესაძლებელია ოფიციალურად ხელის მოწერის გამოცხადების შემდეგ აღარც ერთი აქცია არ დარჩეს.

◆ **ქალაქის სასაკლაოს** სააღმშენებლო კომისიის წევრნი დღეს, დილის 10 საათზე, სასაკლაოს დასათვალიერებლად გაემგზავრებიან.

◆ **საერობო თანხიდან** მომავალ სამის წლისთვის ქართულ, სომხურ და კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათ მიეცათ სულ 7,500 მ. ასეთი მცირე ფულის გადადებამ ხსენებული საზოგადოებანი მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, რადგანაც ამ ფულით რაიმე თვალსაჩინო საქმის გაკეთება შეუძლებელია.

◆ **დაკარგულის პოვნა** 2 მარტს, საღამოს 7 საათზე, ტფილისის წყალსადენის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქის საბაღოსნო-სანერგის უფროსი მუშა, ივანე ბითიაშვილი სადღაც დაიკარგა. დაკარგულის ძებნაში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე მაძებარი პოლიცია, რომელმაც დაატყვევა ამავე სანერგის მუშები: პირველად მათე თეგერელაშვილი, შემდეგ კი არტემ ვარდანაშვილი და არტემ ხალათოვი. ამათზე ეჭვი მიიტანეს, რომ დაკარგული მათ გაძარცვეს და მოჰკლესო, რადგანაც იმ დღეს ყველანი ერთად იყვნენ ავჭალის სადგურის ახლო დუქანში და ქეიფობდნენ. თეგერელაშვილი გამოტყდა, გადავაგდეთ წყალშიო წყალსადენთანო. ამ ჩვენების მიხედვით ყველანი დაიჭირეს და საპყრობილეში ჩასვეს, მიუხედავად იმისა, რომ ორი უკანასკნელი თავს დამნაშავედ არა სთვლიდა. ბითიაშვილის დაკარგვის შემდეგ 22 დღემ განვლო. მეთევზეებმა შემთხვევით აღმოაჩინეს დამხრჩვალის გვამი ავჭალის სადგურის პირდაპირ, სამი ვერსის ზევით ავჭალის წყალსადენიდან. გვამის დათვალიერების დროს არავითარი ნიშნები ძალდატანებითი სიკვდილისა არ აღმოაჩნდა; ჯიბეებში კი უპოვეს 15 მან. 56 კაპ. ფულად, ლითონის საათი ძეწკვით და სხვა ნივთები. ტყუილუბრალო — „ბრალდებულნი“ გაანთავისუფლეს.

◆ **გუბერნატორმა ნება დართო** ნასწავლებულ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოებას, 12 მაისს „ლირაში“ გამართოს საბავშვო სინემატოგრაფი. შემოსავალი უნდა მოხმარდეს საზოგადოების „თავშესაფართან“ (საბურთალოზე) არსებულ სკოლას.

◆ **მეფის მოადგილეს წარუდგებიან** დღეს, დილის 11 საათზე, თავად-აზნაურობისა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი, რომელნიც საერობო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს მეფის მოადგილის საბჭოში იყვნენ მიწვეულნი.

საზოგადოებანი და კრებები

◆ ქალაქის სატყეო-საბაღოსნო კომისიის კრება 1 აპრილისთვის არის დანიშნული.

◆ **კავკასიის სასოფლო-სამე ნეო საზოგადოების** [illegible] ბის ბიუროს კრება გუშინ [illegible] თვის თავმჯდომარის ასარჩევად [illegible] ვლად განსვენებულ ა. ა. ქალ რისა. ბიუროს წევრნი ვერ კანდიდატის შესახებ ვერ თანხმდნენ, ამიტომ თავმჯდომა არჩევა სხვა დროისთვის გადაი

◆ **ქართულ საქველმოქმედო ზოგადოების** წევრთა საზოგ კრება დაინიშნა 30 მარტს, შუადღის 12 საათზე, კავკასიის სოფლო-სამეურნეო საზოგადო სადგომში. კრება განიხილავს საზოგადოების ანგარიშს და აირჩევს ნამდებობის პირთ.

◆ **ქართულ სამეურნეო სა გადოების** საბჭომ გაითვალის ყველა ის სამუშაო, რომელიც წელს უნდა შესრულდეს და კვლობაზე მიწათმოქმედების რტამენტისაგან 19,000 მან. ლობს 1915 წლისათვის. საბჭომ შინ მთავრობის საგუბერნიო ნომს უკვე წარუდგინა შუამდგომლობა დეპარტამენტში გასაგზა შუამდგომლობაში მუხლ-მუხლად მოთვლილია ყველა ის საქმე, მელზედაც ეს ფული უნდა და ჯოს: 1) შენახვა საცდელ ვენ რომელიც 1914 წელს გაშენ იქმნა თელავის მაზრის ს. იყალ ში და გაშენება ორის ამგვარი ნახისა თელავისა და სიღნაღის რაში—2,800 მან., 2) შენახვა გისა და საძირე ვაზებისა, რომ 1914 წელს იყალთოში ჩაიყარა, გაშენება ამგვარივე სანერგეებისა საძირე ვაზებისა სამს ადგილას: ხეთსა, გორის მაზრასა და ივრის ბაში—5,000 მან., 3) ვაზის დროებით კურსების გამართვა და სხვა ადგილას—300 მან., 4) მართვა ორ-კვირიან საკოოპერა და ანგარიშის წარმოების კურს —500 მან., 5) მოწყობა საქ სართავ სახელოსნოსი საგარე სოფლის დედაკაცებისთვის შინა წველობის შესასწავლად აღმო რივ სასოფლო მეურნეობის მი ვით 300 მან., 6) სარაიონო სას ლო-სამეურნეო თათბირების გამა ვა, სამეურნეო იარაღ-მანქანათა მონსტრაცია 400 მან., 7) ჟურ „მოსავალი“-ს გამოცემა 1,000 8) მოწყობა საცდელ მინდვრებ ლიდხნოვან ბალახებით და ბოსტნ ლით 800 მან., 9) საკოლექტივო საუკეთესო ხარისხის მინდვრის [illegible] დათესვისა 300 მან., 10) [illegible] ლექტივო ცდა მიწის განაყო [illegible] 11) [illegible] მინდვრის [illegible] სხვა და სხვა წესის თესვისა და სამინდვრო კულტ [illegible] რისა 300 მ., 12) საცდელი [illegible] მეწველ საქონლისა იმ რაიონ ში, სადაც მერძევეთა ამხანაგ სებობს 150 მან., 13) ადგილო

ქართული სასულიერო კონცერტი პეტერბურგში

(ამ წლის 16 მარტს კ. გ. ფოცხვერაშვილის მიერ გამართული ა. ა. არხანგელსკისა და მისი ხორის მონაწილეობით).

ქართველი ერის მიერ შექმნილ და დაცულ. სულიერ საგანძურთა შორის ერთი უპირველესი ადგილი მის მუსიკას უჭირავს როგორც თავისი სიმდიდრითა და მრავალ-ფეროვანებით, ისე თავისი სიძველით. როგორც ქართველთა ენა, ეს ფასდაუდებელი სალარო ერის გონებრივ შემოქმედებისა, თავისებურია და მით უმეტესად საინტერესო, ასეთივე თავისებურია და საინტერესო ქართველთა მუსიკაც, ეს შეზავებულ ხმათა ენა ერის სხვადასხვა გრძნობათა გამოსახატავად. თუ ქართველებს საზოგადოდ ხელოვნებაში რამე თვითარსებითი შეუქმნიათ, ეს თვითარსებობა არა ნაკლებ გამოსჭვივის მათს მუსიკაში, ვიდრე პოეზიაში, მხატვრობაში და ხუროთმოძღვრებაში. თავისთავად ცხადია, თუ რა დიდი ეროვნულ-კულტურული ღირებულებაა ჩვენი მუსიკა.

სამწუხაროდ ჩვენ საზოგადოებას (ინტელიგენციასა და სამღვდელოებას) ჯეროვნად შეგნებული არა აქვს ეროვნული მუსიკის მნიშვნელობა, როგორც ეროვნული შემოქმედებას სხვა დარგებისაც. ჩვენი განათლებული საზოგადოება ხშირად ვერც კი ჰგრძნობს მშობლიური მუსიკის სიმშვენიერეს, და უცხო მუსიკა უფრო მოსწონს. ამის მიზეზი, რასაკვირველია, ჩვენი ცხოვრების არანორმალურ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში უნდა ვეძიოთ, კერძოდ ეროვნულ სკოლის უქონლობაში, რასაც შედეგათ ეროვნული თვითშეგნების დაჩლუნგება მოსდევს, მაგრამ ყველაფერს გარეშე პირობებს ნუ დავაბრალებთ. ჩვენისთანა პირობებში და უარესშიაც არა ერთი და ორი პატარა ერი ყოფილა და არის, მაგრამ მათ მოუპოვებიათ თავიანთ შორის სულიერი სიმხნევე და არა თუ დაუკარგავთ თავის საღი ეროვნული თვისებანი და მათი გამომხატველი ეროვნული შემოქმედება, პირიქით ერთიც და მეორეც განუვითარებიათ, განუმტკიცებიათ და გაუხდიათ თავის ძალთა წყაროდ არანორმალურ გარეშე პირობებთან საბრძოლველად, ისე უკეთესი მომავლის იმედად. ჩვენი ინტელიგენცია თუ დიდად არ აფასებს მშობლიურ საერო სიმღერას, სასულიერო გალობას ხომ პირდაპირ გაურბის. ის მასზე სულაც არ ფიქრობს და ეთაკილება კიდეც ასეთი ფიქრი, როგორც უკანჩამორჩენილობისა და კლერიკალიზმის მომხრეობის მაჩვენებელი. იმას ავიწყდება, რომ კლერიკალიზმი აქ არაფერ შუაშია და არც სიტყვა „სასულიერო“ წარმოადგენს რაიმე საფრთხეს, რადგან მჭიდრო კავშირი არსებობს საერო და სასულიერო საგალობელთა შორის, ერთი მეორისაგან გამომდინარეობს, ერთი მეორეს ავსებს. დღეს საერო ჰიმნი ხვალ შეიძლება სასულიეროდ გარდაიქცეს და წინაუკმო. დღევანდელი სასულიერო საგალობლები უმეტეს ნაწილად ძველ ხალხურ მელოდიებიდან მომდინარეობენ, სულ ერთია ჰქონდათ მათ ძველად მხოლოდ საერო ხასიათი თუ სარწმუნოებრივიც, მაგ. კერპთ-თაყვანისცემის დროს. და ვისაც ქართული ხალხური მუსიკა აინტერესებს ის არა თუ გვერდს ვერ აუხვევს დღევანდელ სასულიერო გალობას, პირიქით მასში ჰპოებს ნამდვილ ეროვნულ საუნჯეს, პირვანდელი სახით დაცულს, ვინემ დღევანდელ საერო სიმღერებში, სადაც უფრო ადვილად იკვლევს გზას უცხო გავლენა. ამისათვის სასულიერო გალობის შესწავლა უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენი ხალხური მუსიკის შესწავლას, ეს გზა აუცილებელია და მასთან ნამდვილიც.

ინტელიგენტთა გულგრილობასა და დაუდევრობას საეკლესიო გალობისადმი ვიღა ჩივის, როდესაც თვით ქართველი სამღვდელოებაც, რომლის წმიდა მოვალეობა არის ღვთისა და ერის წინაშე „გალობად ხმითა ტკბილითა“, არა ნაკლებ გულგრილობასა და დაუდევრობას იჩენს ამ საქმეში. რადგან ქართული ეკლესიის უცხოელი მესვეურნი კარგა ხანია სრულიადაც არა ფიქრობენ ქართული სამწყსოს არც ენასა და არც გალობაზე და ერთიც და მეორეც მათთვის სრულიად უცნობია, ქართველი სამღვდელოებაც დაემორჩილა ამ მესვეურთა სურვილებს, ნელ-ნელა შეეჩვია უმოქმედობას და მათ შორის მწიგნობრობა და გალობაც თანდათან შესუსტდა. ქართული ეკლესია რომ თავისუფალი იყოს, ის თითონ რომ განაგებდეს თავის ბედს, რასაკვირველია გალობასაც ჯეროვანი ყურადღება ექნებოდა მიქცეული, როგორც საეკლესიო ცხოვრების ყოველ სხვა მხარესაც. დღეს კი იმ საგალობლების დაბეჭდვა-გამოცემაც გაძნელებულა, რომლებიც ამა თუ იმ პირის კერძო ინიციატივასა და დაუღალავ შრომას შეუკრებია და მოსპობისაგან უზრუნველსაყოფელად ქაღალდზე გადაუტანია. აი, მაგ., რათ არ არის განსვენებული ქორიძის მიერ ნოტებზე გადაღებული ყველა საგალობლები გამოცემული? განა მხოლოდ ის კმარა, რაც გამოცემულია? რათ უჭირს მამა რ. ხუნდაძე, ვისი ნოტების გამოცემა და სცემს მხოლოდ მცირე ნაწილს, როდესაც მას აუარებელი საგალობლები აქვს ნოტებზე გადაღებული? მით უმეტეს გასაკვირველია ყოველივე ეს, როდესაც არსებობს, თუ არ ვცდებით, საგანგებო ფონდი ამ საგნის შესახებ, სახელდობრ განსვენებული ალექსანდრე ეპისკოპოსის მიერ დატოვებული.

ულმობელი დრო კი თავისას არ იშლის. ის დაუზოგველად სპობს ყველაფერს, რაც ცუდად ძევს და ჯეროვნად არაა შენახული. ის ანადგურებს არა მარტო ხელთქმნილ ძველ ტაძრებსა და მათ მხატვრობას, არამედ გალობა-სიმღერასაც, ამ უფასოფასეს ხელთუქმნელ ძეგლს. დაკარგვა ყველაფრისა ადვილია, მხოლოდ მეტად ძნელია და ხშირად შეუძლებელიც მისი დაბრუნება და აღდგენა რაც ხელიდან გამოგვეცალა. რამდენი ეროვნული სულიერი საგანძური ილუპება ჩვენი დაუდევრობით დღითი-დღე: სიმღერა, გალობა, ხალხური პოეზია, ზღაპრები და სხ. ასეთი მდგომარეობა სულიერ სფეროში არა ნაკლებ საზიფათოა ჩვენთვის, ვინემ ჩვენი მიწა-წყლის დღევანდელი ვითარება. როგორც მიწა-წყლის შენარჩუნება აუცილებელი პირობაა ჩვენი ეროვნული ნივთიერი კეთილ-წარმატებისა და არსებობისათვის, აგრეთვე საჭიროა შერჩენა და დაცვა ყველა იმ სულიერ საგანძურთა, რაც ერს მის ისტორიულ ცხოვრებაში შეუქმნია. წინააღმდეგ შემთხვევაში ერი დაჰკარგავს მოაზროვნე ადამიანთა კრებულის თვისებებს და დაემსგავსება ჯოგს, ფარას, მუდამ სხვის მონას და სხვისი სურვილების უბრალო დასაკმაყოფილებელ საგანს.

ვისი იმედი უნდა გვქონდეს? არავისი გარდა ჩვენის თავისა. ტყუილი იმედებია, ვითომც ჩვენ გასაკეთებელ საქმეს სხვა ვიღაც გააკეთებს. უცხოელების ღრმად დაინტერესება ჩვენი ვინაობით არც ასე ადვილი საქმეა ჩვენს მდგომარეობაში მყოფ ერისათვის. ყოველ შემთხვევაში ჯერ ჩვენ გვჭირდება დიდი შრომა და მეცადინეობა, ვიდრე უცხოელები დაგვეხმარებოდნენ ჩვენი სულიერი სიმდიდრის დაცვა-განვითარებაში. კერძოთ მუსიკაში საჭიროა უცხოელებს მივაწოდოთ და ვაჩვენოთ ჩვენი ეროვნული სიმღერა-საგალობლები ნამდვილი სახით და არა შეკეთებულით. შეკეთებული სიმღერა-საგალობლები თუ მაინცა და მაინც გვინდა ვაჩვენოთ, მხოლოდ მაშინ, როდესაც შეძლება გვაქვს იქვე ვაჩვენოთ მათი ნამდვილი ხალხური სახე და თუ შეიძლება შესრულებაც.

ამ მხრივ, და სხვა მხრივაც, დიდად საინტერესო აღმოჩნდა 16 მარტს პეტერბურგში პირველად გამართული ქართული სასულიერო კონცერტი. დიდი ხანია ფიქრობდა ამ კონცერტზე ჩვენი დაუღალავი მუშაკი კ. გ. ფოცხვერაშვილი და მის ენერგიასა და გამბედაობას უნდა ვუმადლოდეთ, თუ დღეს ეს ფიქრი უკვე განხორციელებულია. კონცერტის აღსრულებაზე ჩვენ ბევრს არ შევჩერდებით. ბ. არხანგელსკიმ და მისმა ხორომ (150 ქალ-ვაჟი), როგორც მათ სჩვევიათ საზოგადოდ, ქართული კონცერტის აღსრულების დროსაც გამოიჩინეს თავისი მუყაითობა და ხელოვნება. ბ. არხანგელსკი დიდი მადლობის ღირსია, რომ მან დახმარების ხელი გაუწოდა ფოცხვერაშვილს. ჩვენ შევჩერდეთ თვით პროგრამაზედ. კონცერტი ორი განყოფილებისაგან შესდგებოდა. პირველში (სადაც ფოცხვერაშვილი ლოტბარობდა) მოთავსებული იყო ნამდვილი ხალხური სამხმოვანი საგალობლები იპოლიტოვ-ივანოვისა (კვერექსები) და ფოცხვერაშვილისა (წმიდაო ღმერთო, ალილო და წმ. ნინოს ტროპარი) აგრეთვე სახარების კითხვაც. მეორე განყოფილებაში იყო სხვადასხვა კომპოზიტორთა მიერ გადაკეთებ საგალობლები: რომელი ქერუბ კომპანეისკისა, შენ გიგალობთ— ლიაშვილისა, შენ გიგალობთ— ტალსკისა, ღირს არს და აქებ უფალსა—კლენოვსკისა. ამ გან ფილებას არხანგელსკი ლოტბარ და.

კონცერტმა საზოგადოთ [illegible] შთაბეჭდილება მოახდინა დამს საზოგადოებაზე. მაგრამ საინტერ ის არის, რომ ყველაზე უფრო საწონი შეიქნა ნამდვილი ხალხ საგალობლები, უცვლელად ჩაწე ლები, როგორც „წმიდაო ღმერ და ნამეტურ „ალილო“, შემდე ნი კომპოზიტორების ფალიაშვი და ფოცხვერაშვილს გადაკეთ ლი საგალობლები და მე მე ად დაიკავეს გამოჩენილ კომპოზიტ თა კომპანეისკისა, კასტალსკის ცნობილ კლენოვსკის გადაკეთებ მა საგალობლებმა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ უკა კნელ კომპოზიტორთა გადაკეთე ლი საგალობლები ტეხნიკურად უცხოვრად იყო ჩამოყალიბებუ მაინც მკრთალი გამოვიდა, რად მათში ხალხური ელფერი, ხალხ სული თითქმის მთლად გამქრალ ძლიერ საყურადღებო და საგულ ხმიერო მოვლენაა.

ბევრს ჰგონია ჩვენში, რომ ს ლობლების და სიმღერების გადა თება ჩვენ არ შეგვიძლიან, ძალ არა გვყავს და საჭიროა უცხოე ბის დახმარება. აქაც იჩენს თავ ნი ერთგვარი მონური ფსიხოლოგ ჩვენ ჩვენი თავის იმედი არა გვა ჩვენ ძალებს არ ვაფასებთ, შინა მღვდელს შენდობას არა ვთხოვთ. კონცერტმა კი ესეთი შეხედულე გააქარწყლა. აღმოჩნდა, რომ ჩვე ძალები ტეხნიკურად თუ ვერ წვდებიან უცხოელებს, სამაგიერო

ჯიშის საქონლის გაუმჯობესება 1,000 მან., 14) შენახვა ხეხილის სანერგისა და საცდელ ბაღისა, რომელიც 1914 წელს იყალთოში იქმნა ჩაყრილი და გაშენება ახალ ასეთ სანერგეებისა და ბაღებისა სხვა და სხვა ადგილას მცხოვრებთათვის დასარგავ მასალის მისაწოდებლად იმ ფასად, რამდენადაც თვით საზოგადოებას დაუჯდება 4,000 მან., და 15) დაარსება და მოწყობა ღვინის საკოოპერაციო საწყობისა გარე კახეთში 2,000 მ., სულ 19,000 მან.

◆ **ა. ს. გრიბოედოვის სახელობის საზოგადოების** დამფუძნებელ წევრთა კრება 27 მარტს მოხდა ეგზარხოსის ბინაზე, საქართველოს ეგზარხოსის ალექსის თავჯდომარეობით. ეს საზოგადოება არსდება თვით ეგზარხოსის თაოსნობით და მიზნად აქვს: შეაკეთოს და გაალამაზოს ა. გრიბოედოვის საფლავი მამადავითში, აუგოს განსვენებულ მწერალს ძეგლი, შეაკეთოს და გაამშვენიეროს საფლავთან მისასვლელი გზები, გამოსცეს განსვენებულის თხზულებანი, დააარსოს ა. გრიბოედოვის სახელობის სამადლო სახლი და სკოლები და სხვა. კრებას დაესწრნენ შემდეგი დამფუძნებელი წევრნი: კ. ვ. დოლგოვი, ი. დ. ჟუანელიშვილი (სამოსამართლო პალატის წევრნი), სახელმწიფო ბანკის გამგე დ. ფ. გეზობრაზოვი, მიწათმოქმედების სამმართველოს რწმუნებული კ. ი. შაშკოვსკი, საგუბერნიო ექიმი ტ. ს. ქქოძე, ა. ი. მიტკევიჩი, თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, გ. დ. ჟურული, მ. ა. ჯაბარი, მთაწმინდის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ნესტორ მაჭარაშვილი და გ. მ. პავლოვი. კრებამ მოისმინა საზოგადოების წესდების პროექტი, მცირე ცვლილებანი შეიტანა და დაადგინა, გუბერნატორს დასამტკიცებლად გაუგზავნოს. ამ წესდების მიხედვით მუდმივმა წევრმა ერთდროულად უნდა გადაიხადოს 100 მან., ნამდვილმა—3 მან. წელიწადში და თანამგრძნობმა 1 მან. კრებამ დაადგინა, საზოგადოების წლიური კრებები ყოველ წლივ მოწვეულ იქმნას 30 იანვარს, ა. ს. გრიბოედოვის გარდაცვალების დღეს.

ქუთაისი

◆ ეთნოგრაფიული საზოგადოების გამგეობას განუზრახავს გამოსცეს მხატვრული ალბომი ბაგრატის ტაძრის ნანგრევებისა და გელათის მონასტრის სურათ[illegible]აგან შედგენილი.

◆ სამშაბათს[illegible] მარტს, საფიჩხიაზე პოლიცი[illegible]რიკა ლუკა სირბილაძე, დავ. ბერძენიშვილი, ირ. ტოფაძე და პლატონ [illegible]ლავიძე. საწინააღმდეგო არა აღმოუჩენიათ-რა.

◆ მომავალ დღესასწაულებზე ქალთა საეპარქიო სასწავლებლის მერვე და მეშვიდე კლასის მოწაფენი რამდენიმე მასწავლებლის ხელმძღვანელობით ტფილისს მიემგზავრებიან საექსკურსიოდ.

◆ სააზნაურო გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფეების სიმწიფის მოწმობის მისაღებ ეგზამენზე დაშვება უკვე გადასწყდა. სულ ორივე კლასში ირიცხება ოთხმოც-და-ათი მოწაფე. მათში ეგზამენის ჩაბარების ნება არ აქვს ოთხ მოწაფეს, ავადმყოფობის გამო.

◆ ოთხშაბათს, 26 მარტს სალამოთი, სატუსაღოდან გაანთავისუფლეს ამას წინად დაპატიმრებული მესტამბე ივანე კილაძე. სტამბა დაკეტეს.

◆ მსახიობი ქალი დესპინე ივანიძისა საშინელ მდგომარეობაშია. იგი საბოლოვოდ შეირყა. საჭიროა ყურადღება.

◆ ამ მოკლე ხანში ქუთაისში **არჩილ ჯორჯაძის** ხსოვნის პატივსაცემლად სალამო გაიმართება.

◆ ქალაქის მოურავმა დეპეშა მიიღო პეტერბურგიდან, რომ კირ. ლორთქიფანიძეს და დ. ბაქრაძეს პალატის გადაწყვეტილი სასჯელი ექვსი თვის ციხით შეუცვალესო.

◆ კვირას, 23 მარტს, ქუთაისში მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში 12 საათზე ადგილობრივი მღვდლის სპ. ლეკვეიშვილისა და ქართულ გიმნაზიის სამღვთო სჯულის მასწავლებლის დეკანოზის ი. აბესაძის მიერ გადახდილ იქმნა პანაშვიდი **არჩილის** სულის მოსახსენებლად, რომლის დროს გალობდა ამავე გიმნაზიის მგალობელთა გუნდი ნ. შარაბიძის ლოტბარობით. პანაშვიდს დაესწრნენ რედაქციების და პრესის წარმომადგენლები, მოსწავლე ახალგაზრდობა და აუარებელი საზოგადოება განურჩევლად წოდებისა და სქესისა. ეკლესია 11 საათიდანვე გაიჭედა ხალხით; აქ ნახავდით ისეთ პირებს, რომლებსაც სხვა დროს ეკლესიაში ძვირად ნახავთ, ამ დღეს კი მოსულიყვნენ, რათა დასწრებოდნენ ძვირფასი ადამიანის პანაშვიდს. პანაშვიდის დაწყებამდე მღვდელმა სპ. ლეკვეიშვილმა წარმოსთქვა მოკლე და გრძნობიერი სიტყვა, რომელშიაც მოაგონა დამსწრეთ არჩილის ღვაწლი და თავ-განწირული შრომა თავისი ერისა და სამშობლოს კეთილ-დღეობისათვის.

ფოთი.

◆ ავად არის ნ. ნიკოლაძე.

ჭიათურა.

◆ 1913 წლის განმავლობაში ქიათურის შავი-ქვის მრეწველთა საავათმყოფოში 1.485 მწოლარე ავათმყოფი იყო. ამათგან ქართველი—1.351, რუსი--28, ოსი--14, ბერძენი 27, ოსმალო—46, სომეხი—11, ებრაელი—3, სპარსელი—2, პოლონელი—1, ლეკი—2. ყველაზე მეტი ყოფილა ფილტვების ავათმყოფთა რიცხვი—სულ 184, ამათგან 55 კაცი გადაცვლილა.

სულსა და ელფერს მეტს ურთავენ ხალხურ სიმღერებს და რომ პირველებსაც და მეორესაც ისევ თვით ხალხი სჭარბობს მუსიკალურ შემოქმედებაში.

ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა კონცერტმა არა მარტო ამ სტრიქონების დამწერზე, როგორც ქართველზე, არამედ უცხოელებზედაც, როგორც ეს სჩანს ამ კონცერტის გამო დაწერილ რეცენზიებიდან. რეცენზიები მოათავსეს თითქმის ყველა ადგილობრივმა გაზეთებმა, სადაც ერთხმად აღიარებულია, რომ კონცერტს დიდი საგულისხმო მხატვრულ-მეცნიერული მნიშვნელობა ჰქონდა. ყველა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ნამდვილ ხალხურ შეუცვლელად ჩაწერილ და აღსრულებულ საგალობლებს. „ძლიერ ნიშანდობრივი და მშვენიერია „ალილო", მძაფრი, პირველყოფილი სანორჩის ბეჭედი აზის „წმ. ნინოს ტროპარს", რომლის სამხმოვან ნამდვილ ჰარმონიას კ. ფოცხვერაშვილმა ხელოვნურად მეოთხე ხმა (ტენორი) დაუმატა"... ვკითხულობთ გაზ. „რეჩ"-ში (18 მარტი).

გაზ. „დენ"-ში (18 მარტი) ვინმე „სი" გამოსთქვამს რა მწუხარებას იმის გამო, რომ კონცერტს ცოტა ხალხი დაესწრო, განაგრძობს: „საღამო ბევრი თვალსაზრისით იყო საინტერესო. მსმენელთა წინაშე გაისმა ორიგინალური ჰარმონიული კონსტრუქციის საუცხოვო საეკლესიო ჰიმნები. ნამეტურ საინტერესო იყო ის ნომრები, რომლებიც სისწორით ჩაწერილ ქართულ სასულიერო გალობას წარმოადგენდენ. ქართული სასულიერო გალობის საღამო ამასთანავე გადაიქცა კულტურულ-ეროვნული პროპაგანდის იარაღად. მცოდნე პირებმა აღნიშნეს, რომ ავტოკეფალიის საკითხის გადაჭრის დროს უკანასკნელი მნიშვნელობა არ ექნება იმ საკითხს, აქვს თუ არა ქართულ ეკლესიას თავისი თვითარსებითი სარწმუნოებრივ—მუსიკალური კულტურა. ამიტომ ელოდენ, რომ საღამოს დაესწრებოდნენ მართლმადიდებელ ეკლესიის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მაგრამ ისინი არ გამოცხადდნენ"...

კონცერტმა რომ დიდი ყურადღება მიიქცია, ეს იქიდანაც სჩანს, რომ პეტერბურგის თითქმის ყველა რედაქციებმა თავისი საუკეთესო კრიტიკოსები ჩვენ კონცერტზე გამოგზავნეს. მათი რეცენზიები ჯერ ყოველდღიურ გამოცემებში დაიბეჭდა და ახლა მომავალში სერიოზულ სპეციალურ სამუსიკო ორგანოებშიაც, როგორც ვიცით, მოათავსებენ წერილებს. საყურადღებოა ისიც, რომ ამ კონცერტს მრავალი გამოჩენილი მუსიკოსი დაესწრო, მაგ., კონსერვატორიის პროფესორები: საკეტტი, სოლოვიოვი, ვულფიუსი და სხ. კომპოზიტორები: ტანეევი, ლისიცინი, ბრუნი და სხ. კონცერტს დაესწრნენ აგრეთვე ყველა ქართველი პროფესორები და სამივე ჩვენი სათათბიროს დეპუტატი. ერთი სიტყვით კონცერტი გათავდა დიდი იდეური გამარჯვებით: ქართული სასულიერო გალობის სიდიადე უცხოელებსაც ეცნო და შორს გადახვეწილ ქართველთა გულის სიღრმესაც ჩასწვდა. ეს კია, რომ კონცერტს დიდძალი ხარჯი მოჰყვა და ჯერაც სრულიად გასტუმრებული არ არის. კონცერტს მიზნად ისიც ჰქონდა, რომ თუ რამე დარჩებოდა, საეკლესიო შემუშავებულ საგალობელთა კრებული უნდა გამოცემულიყო. თუ საპატიო ბილეთებზე, რომლებიც საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებშიაც არის გაგზავნილი, კონცერტის გამმართველმა ჯეროვანი პასუხი მიიღო, მაშინ შეიძლება კრებულიც გამოიცეს.

ი. ყიფშიძე.

„სახალხო გაზეთის" კანტორისაგან

მოვაგონებთ **წლიურ ხელის მომწერლებს**, რომ, ვისაც შემდეგი **ხვედრი ფული** (2 მანეთი) 1-ლ აპრილისთვის გადახდილი არ ექნება,

გაზეთის გზავნა მოესპობა.

ტფილისის მაზ.

◆ **წყალში დამხრჩვალის გვამი** იპოვეს ს. სოღანლუღთან. იგი აღმოჩნდა ტფილისის მცხოვრები მარტინ მანუკოვი.

სოფლად.

◆ **სოფ. ხეთი.** 23 მარტს ადგილობრივ ეკლესიაში მღვდელს ა. თოდუას პანაშვიდი გადავახდევინეთ **არჩილ ჯორჯაძის** სულის მოსახსენებლად.

◆ **ს. წაღვერი** (ბორჯომის ხეობა). კვირას, 23 მარტს, კიმოთის უბნის ეკლესიაში გადავიხადეთ წირვა და პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი **არჩილის** სულის მოსახსენებლად. ხალხი ბლომად დაესწრო, მღვდელმა მ. გაბიჩვაძემ მოკლე და გრძნობიერი სიტყვით გააცნო დამსწრეთ არჩილის პიროვნება და მოღვაწეობა. წაღვერის შეგნებულ პირთა კრებამ გადასწყვიტა დაარსოს სოფ. წაღვერში არჩილის სახელობაზე სამკითხველო წიგნთ-საცავი.

◆ **მამასახლისის დაჭრა.** ს. უჯარმის მცხოვრებმა ივანე დალაქიშვილმა კალმის დანით ადგილობრივი მამასახლისი მანძე დასჭრა.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

მოსკოვი. 26 მარტს, თავი მოიკლა ახალგაზრდა ქართველმა მომღერალმა თ-დმა ვახტანგ ყარალაშვილმა. მიზეზი ჯერ გამოურკვეველია. ამ უბედურებამ საშინელი მძიმე შთაბეჭდილება იქონია ყველაზე.

ამხანაგი სტუდენტები.

ყაზბეგის დილა ქუთაისში

23 მარტს, ელექტრო-თეატრ „რადიუმში" სახალხო უნივერსიტეტის საღამოს კურსების მოწაფეების მიერ გამართულ იქმნა ალ. ყაზბეგის დილა, რომელსაც დაესწრო დიდძალი საზოგადოება. დილა დაიწყო ნაშუადღევის პირველ საათზე და შესდგებოდა ორი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში წაიკითხეს: ყაზბეგის ცხოვრება და მოღვაწეობა—ვ. ხურცილავამ, ყაზბეგის ხსოვნას—ვ. რუხაძის ლექსი—გ. სვანიძემ, „მთის ფრინველი" (საკუთარი ლექსი) ა. შაქიშვილმა, ყაზბეგის ხსოვნას (საკ. ლექსი)—ვ. კინჩხელმა, ალ. ყაზბეგს—ლექსი გაბდეგილისა—ი. გეგეჭკორმა და ბოლოს ია ეკალაძემ—მოკლე კრიტიკული განხილვა ა. ყაზბეგის ლიტერატურული ნაწარმოებისა. შემდეგ კურსების მსმენელთა გუნდმა ჩადუნელის ლოტბარობით შეასრულა შემდეგი სიმღერები ერთი ხმით: „რა კარგი რამ ხარ ჩემო სამშობლო"—ილ. ჭავჭავაძისა, „დღეს მერცხალი შემოფრინდა"—აკაკისა, „თამარ მეფე და ხონთქარი", „მივალ გურიაში" და სხვა..... გვარიანი გამოვიდა „თამარ მეფე" და „მივალ გურიაში მარა", რომლებიც გაიმეორებინეს; „თამარ მეფე და ხონთქარი", რომ ორპირად შესრულებინათ, უკეთესი გამოვიდოდა. როგორც დეკლამატორები, ისე მგალობელთა გუნდი დამსწრე საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა.

მეორე განყოფილებაში მოხდა ლიტერატურული გასამართლება მაყვალასი, ყაზბეგის მოთხრობიდან „მოძღვარი"; თავმჯდომარეობდა ია ეკალაძე, ბრალს სდებდნენ ე. კავჭანიძე და ი. გეგეჭკორი, იცავდნენ გ. სვანიძე და ი. წიქორიძე. მაყვალას დამნაშავედ სთვლიდენ მასში, რომ ის თავისი საქციელით შეიქმნა, როგორც თავისი თავის, ისე გელას, ონისეს, და ონოფრეს უბედურების მიზეზი, რომ მან უღალატა თავის ქმარს გელას და არ შეუსრულა დაპირება ონისეს. პირველი სიტყვები ბრალმდებლებისა მეტად გრძელი და ულაზათო იყო, ამასთანავე არეულ-დარეული და გაუგებარი; ძნელი გასარჩევი იყო, ისინი ბრალს სდებდნენ, თუ იცავდნენ. შემდეგი სიტყვები კი უფრო გამორკვეული და მოხდენილი იყო. დამცველებში სვანიძე უფრო გარკვეით და გაბედულად ლაპარაკობდა, წაქარიძე კი ჩქარობდა და პირველი მისი სიტყვა სუსტი იყო. კამათი გაგრძელდა მეოთხე საათის ნახევრამდი; შემდეგ ნაფიც მსაჯულთ მიენდო განჩინების დადგენა; მსაჯულებმა ნახევარი საათის თათბირის შემდეგ მაყვალა უდანაშაულოდ იცნეს. საზოგადოება აღფრთოვანებული ტაშის ცემით მიეგება განჩინების გამოცხადებას.

მიუხედავად სხვა და სხვა ნაკლულევანებისა დილამ გვარიანი შთაბეჭდილება მოახდინა: ეს პირველი ცდა იყო საღამოს კურსების მოწაფეებისა და სამდურავი არ ეთქმით, პირიქით ქების და მადლობის ღირსნი არიან, როგორც ისინი, აგრეთვე მათი ლექტორები და უნივერსიტეტის გამგეობა ენერგიული მოქმედებისათვის. დიდად სასიამოვნოა, რომ უსწავლელმა ნოქრებმა ამდენი ცოდნა შეიძინეს საღამოს კურსებიდან და მოახერხეს დილის გამართვა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მეორე—მესამეჯერ ისინი უფრო მომზადებულნი გამოვლენ.

ლადო ბზვანელი.

გორის სახელოსნო ბანკი

(ხელოსან. საკრედ. ამხანაგ.)

სამშაბათს, 25 მარტს, მოხდა გორის სახელოსნო ბანკის წევრთა წლიური კრება წვრილ-კრედიტის ინსპექტორ ა. გრიგოლიის თავმჯდომარეობით. განსახილველი იყო წარსული წლის ანგარიში და ახლანდელ წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ბანკს საინტერესო ისტორია აქვს. იგი დაარსებულა 20 თიბათვეს 1911 წ. და პირველად წევრი ჰყოლია მხოლოდ 42, მაგრამ იმის სარგებლობა ხალხს ძალიან დაუნახავს და წევრთა რიცხვი წლის ბოლოს 152-დე ასულა.

გრძელ-ვად. სესხი ჰქონია	1000 მ.	კ.
მოკლე-ვადიანი .	500 „	— „
წლის ბოლოს წმინდა მოგება დარჩენია .	86 „	85 „
1912 წ, მოემატა მოკლე-ვადიანი , .	2,000 „	— „
გრძელ-ვადიანი	10,000 „	— „
შესატანად შემოუტანიათ	9731 „	50 „
უკანვე გაუტანიათ .	5191 „	20 „
მოგება ჰქონია .	1783 „	32 „
ხარჯი .	1183 „	62 „
წმინდა მოგება დარჩენიათ	553 „	70 „

წევრთა რიცხვი საგრძნობლად გაზრდილა:

1913 წელს მიმდინარე წლის პირველ იანვრამდე წევრი ყოფილა 547 კაცი.

მოკლე-ვადიანი სესხი ჰქონია . . .	20,000 მ.	— კ.
გრძელ-ვადიანი .	3,000 „	— „
შესატანად შემოუტანიათ	8979 „	21 „
მოგება დარჩენიათ	4417 „	65 „
ხარჯი .	3562 „	32 „
აქედან სარგ. სახ. ბანკს	2069 „	—
სესხის ადრე შემოტანისათვის უკან დაუბრუნ.	57 „	— „
მოანგარიშეს . .	480 „	— „
თავმჯდომარეს . .	200 „	— „
გამგეობისა და საბჭოს წევრებს . . .	84 „	— „
ხაზინადარს . . .	100 „	— „
მსახურს . . .	80 „	— „
ბინის ქირა . . .	140 „	— „
ბანკისათვის ინვენტარის შეძენა, წიგნები, ბლანკები და სხვ. . .	352 „	65 „
წმინდა მოგება დარჩენიათ	855 „	33 „

ეს ფული კრებამ ასე გაანაწილა:

ძირითად თანხას მიუმატეს	40%	„
სათადარიგო თანხას. .	20%	„
გორის სახალ. უნივერსიტ.	50 მ.	
წ.-კ. ს. ადგ. სამკითხველოს	25 „	„
მოანგარიშეს საჩუქრად .	40 „	„

ამას გარდა ამხანაგობის ერთ გარდაცვალებულ წევრის უშწეოდ დარჩენილ ოჯახს ეპატია 100 მ. დანარჩენი მიემატა საკუთარ შენობის ასაგებ ფონდს.

ამ ჟამად ამხანაგობას ნაღდად აქვს 1194 მან.

კრებამ მოანგარიშეს მოუმატა თვეში 10 მან., მსახურს 5 მან., და დაადგინა ეთხოვოს სახელმწიფო ბანკს კიდევ 20,000 მან. მოკლე ვადიან სესხად მოუმატოს, რის შუამდგომლობაც იკისრა ა. გრიგოლიამ.

როგორც კრებაზე გამოირკვა—ზოგიერთთ უჩივლიათ ინსპექტორ გრიგოლიას წინაშე გამგეობის წევრებზე—ისე აწარმოვებენ საქმეს, როგორც თვითონ მოეპრიანებათო, მაგრამ კრებამ ამხანაგობის მესვეურთ ნდობა გამოუცხადა და ისინი თავიანთ ალაგზე ისევ დატოვებულ იქმნენ.

დასასრულ, ვადის გათავებისა გამოკენჭვით უნდა გასულიყო გამგეობიდან ორი წევრი; კრებამ ერთხმად ისევ ძველები ამოირჩია.

ბ. გრიგოლიამ ისიც იუარა, რომ გამგეობაში ერთი ვაჭარი იყო მ. ხუბულური. წესდების ძალით გამგეობის წევრობა ვაჭარს არ შეუძლიანო.

გრიგოლიამ ხუბულური გადააყენა და მის ნაცვლად კრებამ ამოირჩია ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში მსახური ს. ჩოტკერაშვილი.

ხ. ანდრო.

მუშათა ცხოვრება

ჩვენში.

ტრამვაის მუშათა ცხოვრებიდან.

უკანასკნელ გაფიცვის დროს ტფილისის ტრამვაის მუშებმა სხვათაშორის ის პირობაც დაუდეს დირექციას, რომ მოსამსახურეთა ტანისამოსის სყიდვაში მონაწილეობა მიეღოთ მოსამსახურეთა მიერ არჩეულ პირებსაც. ამ მიზნით აირჩიეს ორი კაცი. როგორც ეხლა გამოირკვა მოსამსახურეებისთვის მდარე ღირსების ტანისამოსი უყიდნიათ და არა ის, როგორიც წესდებაში იყო აღნიშნული. მუშებმა ეს გაიგეს და 27 მარტს მოიწადინეს კრება გაემართათ იმ პირთა ასარჩევად, რომელთაც ამ საქმის გამოძიება დაევალებათ. მართლაც პარკში ტრამვაის მრავალი მოსამსახურეებმა თავი მოიყარეს. პოლიციამ გაიგო კრების მოწვევის ამბავი და წინადადება მისცა მუშებს დაშლილიყვნენ, ვიდრე პოლიცმეისტერის სამისო ნებართვა არ ექნებოდათ. ტრამვაის მოსამსახურეებმა სთხოვეს, ნება მიეცათ მათთვის, იმ პირთა არჩევა რომელთაც დაავალებდნენ შესაფერ ნებართვის აღებას. ამის ნება არ მისცა პოლიციამ და მოსამსახურენი დაშალა. ამ მიზეზის გამო დილით ვაგონების გამოსვლა ათი წუთით დაგვიანდა.

ტრამვაის მოსამსახურები აპირებენ კრების გამართვის ნების აღებას.

რკინის გზის სადგურის მუშათა გაფიცვის გამო.

28 მარტს მუშაობას თავი დაანება იმ 30 კაცმა, რომელნიც გაფიცულთა ნაცვლად მიიღო ადმინისტრაციამ სამუშაოდ. ახლად მიღებული მუშები კიდევ ბლომად არიან. ეს მეექვსე დღეა რაც გაფიცვა გამოცხადდა და საქმის მდგომარეობა კი ჯერაც არ არის გამორკვეული.

უცხოეთში.

რომი. (დეპეშა) ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა სინდიკატებისა და ფედერაციების კომიტეტებმა სოციალისტ დეპუტატებთან ერთად შეიმუშავეს საერთო ეკონომიური მოთხოვნილობანი, რომელსაც საფოსტო მინისტრს წარუდგენენ. ფინანსთა მინისტრმა 26 მარტს მიიღო ამგვარივე მოთხოვნილებანი სათამბაქო მონოპოლიაში მოსამსახურეთა ფედერაციის წარმომადგენელთაგან, სამხედრო მინისტრმა—ამ უწყების მოსამსახურეთა ასოციაციის მოსამსახურეთაგან, განათლების მინისტრმა — სახელმწიფო ბიბლიოთეკებსა და ხელოვნების უწყებაში მოსამსახურეთა წარმომადგენელთაგან.

შეფილდი. გაზეთების ცნობით, ლონდონში მაღაროს მომუშავეთა კონფერენციის გადაწყვეტილებამ, რომ სხდომები ერთი კვირით გადავდოთო, ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა სამხრეთ იორკშირის მუშებზედ, რომელთაც ეგონათ, შეთანხმება უკვე მომხდარაო. შესაძლოა, ბევრმა აღმასრულებელი კომიტეტის დაუკითხავად მუშაობა დაიწყოს.

რუსეთში.

რიგა. (დეპეშა) ქარხანის „პროვოდნიკის" საკალოშო განყოფილების მუშები დაითხოვეს. ანგარიში გაუსწორეს. განყოფილება განუსაზღვრელი დროთი დაიხურა. „მოტორის" ქარხნის გაფიცული მუშები დაითხოვეს.

წვრილი სესხის ამხანაგობანი ჩვენში

საქაშეთის წვრილი სესხის ამხანაგობა

31 იანვარს 1914 წელს მოხდა ამხანაგობის წლიური კრება, რომელსაც დაესწრო ინსპექტორი ა. გ. გრიგოლია. კრებამ თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია თვითონ ინსპექტორი.

წლიური ანგარიშის განხილვამდე ინსპექტორმა გამოუცხადა კრებას, რომ პირველ იანვრიდან ოფიციალურად საქაშეთის წვრილი სესხის ამხანაგობა გადაკეთდა შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობად.

ამხანაგობის წლიური მოქმედების განხილვამ აღმოაჩინა შემდეგი ანგარიში.

პასივი:	1913 წლის პირველ იანვრისათვის იყო:		1913 წლ. განმავლობაში შემოსავალი:		გასავალი:		1914 წლის იანვრის პირველამდე ითვლება:	
	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.
საწევრო (პაი)	—	—	927	—	—	—	927	—
ძირითადი თანხა	1547	46	183	14	—	—	1730	60
სათადარიგო თანხა . . .	23	73	91	48	—	—	115	21
საგანგებო მნიშვნელობა . .	47	46	183	14	—	—	230	60
მობარებული	130	—	1165	—	1169	—	126	—
სესხი	3954	—	12,000	—	13954	—	2000	—
მოგება და სარგებელი . . .	457	76	1282	76	1226	61	513	91
ჯამი . .	6160	41	15,832	52	16,349	61	5643	32
აქტივი:								
საკრედიტო დაწესებულებაში	—	—	1550	—	1550	—	—	—
გაცემული სესხი	6097	—	14,977	—	14,373	—	5493	—
ქონება	63	—	9	30	7	30	61	—
ხარჯი	—	—	762	05	762	05	—	—
ჯამი	6160	—	17,298	35	16,692	35	5554	—
ნაღდად . .	—	41	33130	87	33,041	96	89	32
ბალანსი . .	6160	41	—	—	—	—	5643	32

კრებამ წლიური ანგარიში ერთხმად მიიღო და დაამტკიცა. წმინდა მოგება 513 მან. 91 კაპ., ამნაირად გაანაწილა: ძირითად თანხისთვის გადასდო—207 მან.; სათადარიგო თანხისთვის—103 მან. 50 კაპ., გამგეობა დაასაჩუქრა—60 მან.; დანარჩენი 143 მან. 41 კ. გადასდო საგანგებო დანიშნულებისთვის.

გამგეობის წევრნი იგივე დარჩნენ: მხოლოდ საბჭოს თავმჯდომარედ, ნაცვლად გამოსულისა, გრიგოლ თავყელიშვილი აირჩიეს.

პირველ იანვრამდინ ამხანაგობაში 368 წევრი ითვლებოდა.

კრებამ ამხანაგობიდან დაითხოვა ხუთი წევრი სხვა და სხვა მიზეზების გამო: ამათში ორი გლეხკაცია, ორი აზნაური ი. მირზაშვილი და ს. დავითაშვილი და შინდელი მღვდელი დ. სიმონოვი (და არა საქაშნელი მღვდელი, როგორც ზოგიერთს ეგონათ).

კრებაზე ზოგიერთმა გლეხთაგანმა ითხოვა, თუ შეიძლება საქმე ქართულად აწარმოვონ, იმიტომ რომ ჩვენ ამორჩეულ გლეხკაცებსო არა ესმით რა და ვერაფერს ვერ გვეუბნებიან. ჩემის აზრით ეს მოთხოვნილება სამართლიანია, ამიტომაც გამგეობამ გადასწყვიტა 1 იანვრიდან ყველა დავთრები ქართულად აწარმოვონ. დედაენაზე წარმოება მისთვის არის საჭირო, რომ მოსპობს ზოგიერთ ამხანაგობაში დიქტატორობას, რაკი ქართულის მცოდნე გამგეობის წევრნი მუდამ თვალყურს ადევნებენ. ასე რომ, რომელ სოფელშიც დავთრებს რუსულად აწარმოებენ, შეუდგნენ ქართულად წარმოებას. ინსპექცია მაგათ ხელს არ შეუშლის.

ვსარგებლობ შემთხვევით და მოუწოდებ ყველა ამხანაგობის გამგეობებს შემდეგს: რაკი დეკემბერში წელს მოხდება საერთო კრება კოოპერატივებისა, ამიტომაც საჭიროა მოვამზადოთ კითხვები და საერთო კრებამდინ როდისმე შევგროვდეთ რამდენიმე. ამხანაგობების წარმომადგენელნი და გავარჩიოთ საჭირბოროტო კითხვები და მომზადებულნი დავესწროთ საერთო კრებას. წინააღმდეგ შემთხვევაში განმეორდება 1911 წლის ამბავი, როცა საერთო კრებაზე წარმომადგენელნი სრულიად მოუმზადებელნი იყვნენ.

დიმიტრი დიასამიძე.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

27 მარტი.

უცხოეთი.

სოფია. 14 აპრილიდან ახლად შეძენილ ადგილებში გაუქმდება თამბაქოს მონოპოლია, და იმ კანონებს დაექვემდებარება, როგორც ბულგარეთშია.

ტოკიო. ქვრივი დედოფალი გარდაიცვალა.

სტოკჰოლმი. მეფეს ოპერაცია გაუკეთეს.

ვენა. რუსეთისა, ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებმა ცალ-ცალკე გადასცეს ბერტჰოლდს პასუხი საბერძნეთის ნოტაზე. სამივეს პასუხი ერთნაირია.

ვიქტორია. აგვისტოში დაიწყება რკინის გზის მოძრაობა ატლანტიის ოკეანიდგან დიდს ოკეანამდე.

ლონდონი. სუფრაჟისტმა ბრიტანიის მუზეუმში რამდენიმე ვიტრინა დაამტვრია და ძვირფასი ფინჯანი გასტეხა. იგი დაატუსაღეს. ირლანდიის სუფრაჟისტებმა დასწვეს ძველებური სახლი—ორლენდსი კარრიკფერგის ახლო. ზარალი 12000 გირვანქაა.

მუკდენი. მთავრობამ მუკდენში აღადგინა გენერალ-გუბერნატორობა და მას დაუქვემდებარა გირინისა და ციციკარის პროვინციები.

პარიჟი. ფაბრი საკასაციო სასამართლოს წევრად დანიშნეს. ბილდე-ლილიის შესახებ გადაწყვეტილებას ხვალ დაადგენიან.

კალკუტა. გამოურკვეველი მიზეზების გამო რამდენსამე ადგილას ცეცხლი გაჩნდა. ახალი ბაზარი გადაიწვა. ზარალი დიდია.

ტოკიო. სასახლის მინისტრად დაინიშნა ბარონი ხატანო, კაცურის კაბინეთში იუსტიციის მინისტრად ნამყოფი და იმპერატორის აღმზრდელი.

სტამბოლი. ოსმალეთი დასთანხმდა აღმოსავლეთ ანატოლიაში ინსპექტორებად დანიშნოს ნორვეგიელი მაიორი გოფი და ბელგიელი გენერალი დეგისი.

კერძო ცნობებით, ხიოსისა, მატილენისა და სამოსის კუნძულებზედ, სადაც ახალგაზდობას სამხედრო სავარჯიშოდ იწვევენ, საბერძნეთის გემებით ზირბაზნები მიუტანიათ.

ლონდონი. მეფემ გენერალი სკლეტერი დაამტკიცა გენერალ იურცის ადგილზე. ეს უკანასკნელი სამსახურიდან გადადგა ულსტერში მომხდარი უკანასკნელი ამბების გამო.

ვენა. როგორც დურაცოდან იტყობინებიან, კორიცის აჯანყებულებმა იარაღი დაჰყარეს. აჯანყება სამუდამოდ ჩააქრეს.

ფრენა.

ბერლინი. გრაფი ცეპელინი და დირიჟაბლების ამშენებელი საზოგადოება ფრიდრიხსგაფენში უარსაჰყოფენ გაზეთების ცნობებს და აცხადებენ, ცეპელინი ამერიკაში გაფრენას არ აპირებსო.

მილანი. დამატებითი ცნობებით გამოირკვა, რომ დირიჟაბლი „ჩიტადი-მილანოს“ ჩამოვარდნის დროს არავინ დაშავებულა. აპარატი საკმაოდ დაზიანდა.

ანტვერპენი. სამხედრო მფრინავი ვერსხევენი სანიმუშო ფრენის დროს ქალაქის ახლო ჰაეროდრომზე დაეცა და სასიკვდილოდ დაშავდა.

რუსეთი.

პეტერბურგი. აზოვ-დონის საკომერციო ბანკის წმინდა მოგება 1913 წელს ყოფილა 9,100,627 მან. 44 კ. აქციაზე ეძლევათ 40 მ. დივიდენდი. მოგების დანარჩენი 1,900,000 მანეთი მიმდინარე წლის მოგებას მიემატება.

საბავშვო ექიმთა მეორე სრულიად რუსეთის კრება 18—22 დეკემბერს მოხდება მოსკოვში.

29 მარტს სტატს-სეკრეტარ გორემიკინის თავმჯდომარეობით მოწვეული იქნება უმაღლესად დამტკიცებული ფინლანდიის საქმეთა განსაკუთრებული თათბირი. სხვათა შორის განიხილავენ შემდეგ საკითხებს: ფინლანდიას დაწესებულებათა და თანამდებობის პირების მიერ სახელმწიფო ენის ხმარება, მათი დამოკიდებულება საიმპერიო მთავრობასთან, რა ფარგალში უნდა მოქმედებდნენ სისხლის სამართლის საიმპერიო კანონები იმ დანაშაულობათა წინააღმდეგ, რომლებიც ფინლანდიაში მოხდება, და ფინლანდიის კანონები იმ დანაშაულობის წინააღმდეგ, რომლებიც იმპერიაში მოხდარა.

სევასტოპოლი. 27 მარტს, დედოფლითურთ და უფლისწულებითურთ ხელმწიფე-იმპერატორი სევასტოპოლს მობრძანდა.

ბათომი. ბანაობის სეზონი დაიწყო.

საფრანგეთის ელჩი დე-ლაკრუა გარდაიცვალა.

ქერჩი. ზღვაზე დიდი ქარიშხალია.

ფეოდოსია. ზღვაზე დიდი ქარიშხალია. გემები იგვიანებენ.

სევასტოპოლი. ზღვაზედ დიდი ქარიშხალია.

ვლადივოსტოკი. სამხედრო მფრინავი სოფ. სპასკიდან ნიკოლსკო-უსურიისკამდე გაფრინდა და უკანვე დაბრუნდა.

ოსმალეთი

სომხებისა და ქურთების შეტაკება.

სტამბოლი. ბაიაზეთის ეპისკოპოზისაგან სომხის პატრიარქმა დეპეშით შემდეგი ცნობა მიიღო.

„ქალაქიდან რამდენიმე საათის სავალზე ცხარე ბრძოლაა. მთავრობის რაზმში სულ 240 კაცია; ქურთებისა კი რამდენიმე ათასი. ქურთები კარგად არიან შეიარაღებულნი, მათ ტყვიის მფრქვეველებიც კი აქვთ. ქალაქში აურ-ზაურია. ქრისტიანი მცხოვრებნი ეკლესიებში ჩაიკეტნენ. გვიხსენით“.

მდგომარეობის სირთულეს მთავრობაც გრძნობს. მან ოფიციალური მოწოდება გამოუშვა, სადაც ნათქვამია, ქურთების მოძრაობა მიმართულია მთავრობისა და ქრისტიანების წინააღმდეგაო.

ჩინეთის რეაქცია.

პეკინი. გამოაქვეყნეს ახალი კანონი ბეჭდვითი სიტყვისა. ახალი კანონი გაცილებით მკაცრია, ვიდრე მანჯურიის დინასტიის მეფობის დროს ყოფილი.

ჟურნალისტები ამბობენ, ახალი კანონის მოქმედების დროს არც ერთი ბეჭდვითი ორგანოს არსებობა არ შეიძლებაო.

იუანშიკაის კონსტიტუცია.

კონსტიტუციის გადამთვალიერებელმა თათბირმა მიიღო იუანშიკაის ყველა წინადადება და თავის მხრით დაადგინა, იუანშიკაი სიკვდილამდე პრეზიდენტად გამოაცხადოს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. 27 მარტს, დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იყო ზუდერმანის „მაგდა“. პიესამ კარგად ჩაიარა ხალხი საკმაოდ დაესწრო.

—

„ნაძალადევი“. 25 მარტს ადგილობრივ თეატრში წარმოადგინეს ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“.

ქ-ნმა ჩიქოვანმა, ზომიერად ჩაატარა ოლ-ოლის როლი. გლუხოვცევის როლში ბ-ნი კუდუხაშვილი ურიგო არ იყო. ბ-ნი სვიმონიძე კარგი იყო ონუფრის როლში, თუმცა გრიმი ვერ ჰქონდა შესაფერისი და თავის სიტყვებს ურევდა როლში. ბ-ნი ნინიძე ორ როლს ასრულებდა და ორთავე შესაფერისის დაკვირვებით ჩაატარა. სიამოვნებით აღსანიშნავია ქ-ნ გოგაშვილის მოხდენილი თამაში (ევდოკია გრიგორიევნას როლში), რომელმაც მშვენივრად დაგვიხატა ეს ტიპი. დანარჩენი აღმასრულებელნი თავ-თავის ალაგას იყვნენ. ხალხით სავსე იყო თეატრის დარბაზი.

წარმოდგენა ღამის 9½ საათზე დაიწყო და შუაღამის 2 საათზე გათავდა. ეს ყოვლად შეუძლებელი და მოუხერხებელია. იმედი გვაქვს, მომავალში ყურადღებას მიაქცევენ ამ გარემოებას.

ხა—სი.

შემოწირულება

ილიასეულ სახლის გამოსასყიდლად შემოიტანეს:

გაბრიელ ზაქარიას ძე ქვლივიძემ 25 მან., სპირიდონ ბენდუკიძემ 25 მ., ნიკოლოზ მახათაძემ 25 მან., იასონ ბაქრაძემ, შავი ქვის საბჭოს მოსამსახურეთა შორის შეკრებილი ქ. ქუთაისში 205 მ., ყვირილის „საზოგადო საკრებულომ“ 100 მ.

პავ. კაველაძისაგან სრეტენსკში შეკრებილი ფულის შემომწირველ. სია: მღვ. კირილე მათიკაშვილმა 5 მან., ექ. პავლე პორფ. კაველაძემ 5 მან., ბესარიონ მიხარ. გაბუნიამ 2 მ., პავლე ასათიანმა 3 მან., ანტონ გიორ. მელქაძემ 2 მ., გიორგი მიხ. ბარამიძემ 2 მ. 50 კ., გ. მგელაძემ 2 მ. 50 კ., სამსონ ნიკ. ხუხუნაშვილმა 2 მ., კირილე კარანაძემ 2 მ., მელიტონ მატკავამ 1 მ., ბართლომე ზურაბ. შანიძემ 2 მ., კლიმენტი ნიკ. ლორთქიფანიძემ 5 მ., სერაფიონ თომ. მელქაძემ 3 მ., ნესტორ შანიძემ 1 მან.

ქართველთა მონდობილობით, მღვდელი ილია კირილეს ძე მათიკაშვილიდა სამხედრო ექიმი პავლე პორფირის ძე კაველაძე.

ძმ. ფორაქიშვილებმა 100 მ., თ. მ. ზ. ჭავჭავაძემ 25 მ., ვიქ. ავალიანმა 30 მ., ნ. ნიკოლაიშვილმა 25 მან., ნ. ს. ჯვანცელაძემ 10 მ., ექ. გ. ფ. ნათიაშვილმა 10 მ., შელიქ. კანდელაკმა 10 მ., ნაფ. ვექ. თანაშემწ. ი. ა. ტატიშვილმა 10 მან., ახალმა კლუბმა 500 მან., საზოგადოებამ „კახეთი“ 500 მ., „სახალხო გაზეთი“-ს რედ. საშუალებით 325 მ. 25 კ.

პეტერბურგში ქართველ ახალგაზდათა შორის შეკრებილი ი. ანთაძის მიერ: ი. ყიფშიძემ 5 მ., გ. კოკოჩაშვილმა 3 მან., ნიკ. დავლ. ფუთურიძემ 3 მან., ნიკო მაჭავარიანმა 2 მ., ივ. მაჭავარიანმა 2 მ., ელ. ჩერქეზიშვილმა 2 მან., დ. კვინიკაძემ 2 მან., შ. ოქროპირიძემ 1 მ. 50 კ., შ. ოქროპირიძემ 1 მ. 50 კ.; თითო მანეთი: ელ. ანთაძემ, ივ. ბუაჩიძემ, ს. თუთბერიძემ, ერ. ფაღავამ, ს. ქავთარაძემ, კ. ფალავანდიშვილმა, ვლ. სურმავამ, ს. ყაუხჩიშვილი, გ. ქუბაშძიამ, ვ. გურულიშვილმა, გ. ფურცელაძემ, ლ. ბაქრაძემ, დ. ჩიქოვანმა, გ. გელაშვილმა, მჟავანაძემ, ი. ანთაძემ, ნიკ. ყიფშიძემ, ივ. ყიფიანმა, ალ. ცირეკიძემ, ი. სიხარულიძემ, ს. მამულაშვილმა, ან. ლორთქიფანიძემ, № №.

სულ 2008 მან. 25 კ.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ვაქირის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას, რომელმაც გადასდო მოგებიდან სამი თუმანი ადგილობრივ წიგნთსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ, და ქალ. ტფილისში მოვაჭრეებს ბ. ბ. ლუკა ანტ. ხელაშვილს და ალექსი ბაღ. უსეინოვს, რომელთაც გამოუწერეს ამა წლის გაზეთები მოხსენებულ ბიბლიოთეკას: პირველმა „ზაკავკასკაია რეჩი“ და მეორემ „სახალხო გაზეთი“.

ვაქირის წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგეობის წევრნი: **მღვ. ირაკლი ცინცაძე, მასწავ. ფ. ხუციშვილი, კოლმ. ყუჩაბაშვილი.**

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ჩემს მაგიერ და ჩემდა რწმუნებულ ს. ველისციხის სამრევლო სკოლის მოწაფეთა მხრივ გადასცეთ გულითადი მადლობა ამავე სოფ. მცხოვრებთ: სპირიდონ მახარობლის ძე მამისაშვილს, რომელმაც შემოსწირა ზემოხსენებულს სკოლას 24 მან. პარტების გასაკეთებლად, ლევან თათარაშვილს და მიხეილ ხუნწუკაშვილს, შემომწირველთ ამავე საგნისთვის ექვს-ექვსის მანეთისა.

მღვ. იოანე ხატიაშვილი.

დოლი

9 აპრილიდან დიდუბის მინდორზე ცხენების შეჯიბრება დაიწყება. პირველ დღეს 9 აპრილს, დაურიგდებათ ხუთი ჯილდო: 1) ჯილდო საერობო თანხიდან 300 მან.; 2) ორი ჯილდო სახელმწიფო საჯინიბოს მთავარ სამმართველოსაგან, თითო 300 მან., 3) ჯილდო დოლის წამქეზებელ საზოგადოებისა თვის საპატიო წევრის ა. ი. ლაზარევის სახსოვრად 400 მან. და 4) ჯილდო ამავ საზოგადოებისაგან—300 მან. 13 აპრილს მიეცემათ 4 ჯილდო სახელმწიფო საჯინიბოს მთავარ სამმართველოსაგან სულ 1,150 მანეთისა და ორი ჯილდო ტფ. საზოგადოებისა სულ 550 მან. 16 აპრილს: ერთი ჯილდო საერობო თანხიდან —300 მან., ორი ჯილდო მთავარ სამმართველოდან, თითო 300 მან. და ორი ჯილდო ტფ. საზოგადოებისა, სულ 500 მან. 20 აპრილს: ჯილდო მთავარ სამმართველოსი—300 მან. ჯილდო საერობო თანხიდან 300 მ. და სამი ჯილდო ტფ. საზოგადოებისა: ერთი 500 მან. საზოგადოების საპატიო პრეზიდენტის გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის პატივსაცემლად, ერთი 300 მან. და ერთიც 200 მან.; 23 აპრილს: ერთი ჯილდო საერობო თანხიდან 300 მან., ორი ჯილდო მთავარ სამმართველოსი სულ 800 მან. და ორი ჯილდო ტფ. საზოგადოებისა—ერთი 400 მან., მეორე—200 მან. 27 აპრილს: სამი ჯილდო მთავარ სამართველოსი სულ 1,000 მან. და ორი ჯილდო ტფ. საზოგადოებისა—ერთი 600 მან. საზოგადოების საპატიო წევრის თ-დ გ. ი. ორბელიანის პატივსაცემლად და მეორე—300 მან.; 30 აპრილი: ჯილდო საერობო თანხიდან 300 მან., ორი ჯილდო მთავარ სამმართველოსი სულ 550 მან. და ორი ჯილდო ტფ. საზოგადოებისა—ერთი 400 მან., მეორე—300 მან. 4, 7 და 11 მაისს დამატებითი დოლი გაიმართება. ჯილდოდ პირველ შვიდს დღეს დარიგდება სულ 12,000 მანეთამდე.

რედაქტორი **ნ. ქურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106 **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 5 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამ. 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სამ.** დილ. 8 ს. 1 წ. № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფისაკენ: **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. 00 წ.

ყარსისკენ: **სამ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** [illegible], 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7. **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 3 ს. 12 წ.

ჯულფიდან № 4/3 საღამოს 7 საათსა და წუთსა საღამოთი.

ერევნიდან № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე- და მე-3 კლასის ვაგონით.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 56.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 4—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის შინაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავადმ.
[illegible]: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
[illegible]: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა ბავშვებისა.
გ. გ. ბენ-ამინოვი: 10—12 ს. ყურისა ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, ბავშვთ და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1171 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ფეხსაცმელების მაღაზია
თომა დ.
ჯანყარაშვილის
მუხრანის ქ. № 2.

მიღებულია სააღდგომოდ დიდძალი ფეხსაცმელები ამხ. პეტერბურგის მექანიკური და ვარშავისა **ქალებისა, ვაჟებისა და ბავშვების.**
ფასები საქარხნოა. აგრეთვე საკუთარი ნაწარმოები. 172.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:
ჩვენი მწერლობა.

ჭყონია. ილიას ნაწერები,	ფასი 1 მ.
ხუნდაძე სილოვან. ლექსები, ქ. 1902,	50 კ.
—მეზობლები და თოთოლას სიზმარი, ბ. 1899 წ.	5 „
—ჩემი აზრი და ფიქრები, ნაწ. 1-ლი, ქ. 1901.	20 „
—ცხოვრების სურათები. ჩემი აზრი და ფიქრები, მე-2-ე ნაწ. 1902.	20 „
—სიმები, ქუთ. 1894.	5 „
ქართ. ლიტერატურის სახელმძღვანელო, ნიკ. ბარათაშვილი,	15 „
ხუსკივაძე. თხზულებანი,	30 „
—ეკატერინე ბატონიშვილი, 1895,	5 „
ფანცხავა. თხზულებანი, ფოთ. 1903,	1 მ. —
ხევის-უბნელი. ცხენის წურბელა, მოთხრობა ჩვენი გლეხის ცხოვრებიდან,	15 „
შანშიაშვილი. შვების თავადი,	60 „
—სულამიტი ლირიკ. პოემა, ტ. 1909,	10 „
ჩარხიშვილი. ცხოვრება და სიყვარული, ტ. 1904.	40 „
—ლექსები და პოემები, ტფ. 1903,	15 „
სალიტერატურო კრებული „გრდემლი“, 1-ლი ტ., ტფ. 1912.	1 მ. 50 „
იგივე მე-2-ე, 1912.	1—50 „
ახალი წიგნები:	
ა. ჯორჯაძის მეხუთე წიგნი	1 მ.
ვეფხის ტყაოს., ს. კაკაბაძის გამოც.	2—50 „
დ. ჯანაშვილი. 1 (ქართულ ეკლესიის გამოყოფა საბერძნეთის ეკლესიიდან, 2) ქართველი ქალები, ტ.	75 „
ეკ. გაბაშვილი. ღვინია გადაიჩეხა, საყმაწვილო მოთხრობა.	5 „

ადრესი: Тифлисъ Книж. магазинъ О-ва грам. ср. гр. нас. 1072



გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ახალი სალიტერატურო-სამეცნიერო კრებული
1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული და ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით, ვ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე.
ფასი 1 მანეთი.

კავკასიის პირველი ამხანაგობა
შეკერილი ტანისამოსისა
ნიკოლოზის (კუკიის) ხიდი 28—30.
ამით ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ **მიღებული გვაქვს დიდ-ძალი რჩეული ტანისამოსი, უკანასკნელ ფასონით შეკერილი**
კაცებისა, ქალებისა და ბავშვებისათვის
რათა მომავალ სეზონისათვის ეხლანდელი საქონელი აღარ დაგვრჩეს,
დავნიშნე
უდიდესი იაფი ვაჭრობა
ნამდვილ ღირებულობაზე 60%-ის დაკლებით.
მაღაზიაში არსებულ საქონელზე **ფასები** დანიშნულია
შეუვაჭრებლად
იაფ ვაჭრობის დროს გაყიდულ ტანისამოსის გადაკეთებას არ ვკისრულობთ.
1126 დავშთები პატივისცემით ფირმის გამგე ა. ი. კალაშიანი.

ინჟენერი
ი. ს. პონდოევი
ტფილისი
ელისაბედის ქუჩა, 164, ბაქოს ქ. კუთხე.
რკინის კოჭები,
საქვაბე რკინა,
რკინის საკუთხე,
რკინა სახლის სახურავისათვის.
ტელეფონი
კანტორისა
№ 123.
ცემენტი
ასფალტი, გუდრონი, ცეცხლში გამძლე აგური და თიხა, ლურსმები, ანჯამები და სხვა საშენებლო მასალა. 1025
აგური სახლების ასაგებად, საკუთარი აგურხანისა, ვაკეში.

ტფილ. ქალაქის გამგეობა

ამით იუწყება, რომ მომავალ **აპრილის 9-ს იწვევს მეტოქეებს სად.**

ავჭალის წყალსადენისათვის

2 სითბოთი მამოძრავებლის (დიზელის ტიპისა) დამზადება-დადგმისთვის, ცენტრიდან გამზიდველ 2—საქაჩავით საჭირო მილების გაყვანით სამანქანო შენობის ფარგალში, მათთვის საჭირო ყოველ-გვარ რეზა-კლაპანებით და ყველა საჭირო მოწყობილობით, აგრეთვე ცენტრიდან წყლის გამზიდველ საქაჩავების ასამოძრავებელ ღვედებით და წყლის საქაჩებელ აუზში ამზიდველის მილებით.

ზემოხსენებული მოწყობილება ავჭალიდან უნდა იძლეოდეს საათში 35000—40000 ვედრო წყალს მთავარ მილის მიმართულებისაკენ, დიამეტრი 16 და სიგრძით 4500,115 მეტრის სიმაღლეზე.

თითო მამოძრავებელის ძალი 150 ცხენის ღონეს უნდა უდრიდეს. საჭიროა გარანტია სათბობ მასალისა, მანქანისა საპოხ ზეთისა და წყლისა.

განცხადებაში უნდა აღინიშნოს, როდისთვის შეუძლიანთ ამ საქმის ჩაბარება. ანგარიშების გასწორება სამ წელიწადში ხდება ყოველ-თვიურად ფულის მიცემით. პირველად ფული მიეცემათ ამ საქმის მიღებიდან ორის თვის შემდეგ. ამ მეტოქეობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ დაბეჭდილის კონვერტებით უნდა წარმოადგინონ თავისი განცხადებანი ზედწარწერით:

„9 აპრილის შეჯიბრებისათვის, ავჭალის წყალსაყვანის სადგურისათვის მამოძრავებლის და საქაჩავების დასადგმელად“. ამასთანავე როგორც პირადად მიტანილი, ისე ფოსტით გამოგზავნილი კონვერტები მიმართული უნდა იყოს გამგეობის წევრის, ტფილისის ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილების გამგის სახელობაზე. პაკეტები უნდა წარედგინოს არა უგვიანეს 9 აპრილის შუადღის 12 საათამდე, როდესაც მოხდება თვითონ შეჯიბრებაც ზემოხსენებულ საქმეში.

შეჯიბრების შემდეგ ტფილისის ქალაქის გამგეობა განიხილავს და ვის პირობებსაც უფრო ხელსაყრელად მიიჩნევს, ამ საქმესაც იმას გადასცემს.

ხელ-შეკრულებისა და ამ სამანქანო შენობის გეგმის გადათვალიერება შეიძლება ყოველ საქმის დღეს დილის 9-ნახ. 2 საათამდე წყალსაყვანის განყოფილების კანცელარიის საქმის მწარმოებელთან. თუ ის პირი, ვისაც ეს საქმე შეჯიბრების მერე გადაეცემა, ან მისი რწმუნებული, ხელშეკრულობის დასადებად 10 დღეში არ გამოცხადდება, იმ დღიდან, რა დღიდანაც ეცნობებათ რომ საქმე მათ გადაეცათ, მაშინ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად წარდგენილი ბე ქალაქის შემოსავალში ჩაირიცხება, ხოლო საქმე კი, ტფილისის ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილებით, სხვა პირს გადაეცემა 1109

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგელოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

მანუფ. ლეგა
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ქვეშ,
საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.
1081

ტფილისი, სტამბა „შრომა“, მუხრანის ქუჩ. ტელეფონი № 14—42.